

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/09

ქ. თბილისი

„ 15 “ მარტი 2021

საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსის, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის, 67-ე მუხლის მე-5 პუნქტის, ასევე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების თაობაზე, მე-5 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების და უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 32 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დასაქმებულთა მიერ სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენის ვალდებულების განსაზღვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის N463 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით სქესობრივ დანაშაულებზე ნასამართლევ პირებს ეკრძალებათ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმება/საქმიანობა.
2. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის N463 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე პირს შეიძლება ჩამოერთვას საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.
3. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის N463 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით უნივერსიტეტი პირის დასაქმებამდე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად, ვალდებული არიან, პირს მოსთხოვონ სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.
4. უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 32 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევ პირი

ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება“.

5. ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში დასაქმებული ყველა პირი ვალდებულია წარმოადგინოს ცნობა სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ.

6. დასაქმებულებმა შესაბამისი ცნობა უნდა წარმოადგინონ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში.

7. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი ვალდებულია უმოკლეს ვადებში მიაწოდოს ინფორმაცია ყველა დასაქმებულს და უზრუნველყოს კონტროლი ბრძანების შესრულებაზე.

8. კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის.

9. უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ბრძანების განთავსება დაევალოს ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირს.

10. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის

რექტორი, პროფესორი
გიორგი მათიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი
ელისო ელისაშვილი